



2023

შპს „New Road“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი
ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	20
5. ძირითადი საშუალებები	21
6. არამატერიალური აქტივები	22
7. მარაგები	23
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
9. თანხები საგარანტიო ანგარიშებზე	23
10. საკონტრაქტო აქტივი	24
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
12. საიჯარო ვალდებულება	24
13. მიღებული სესხები	25
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
15. საგადასახადო აქტივი, წმინდა	26
16. ამონაგები	26
17. რეალიზაციის თვითღირებულება	27
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
19. ფინანსური ხარჯი, წმინდა	27
20. არასაოპერაციო შემოსავლები	28
21. არასაოპერაციო ხარჯები	28
22. საკუთარ სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	28
23. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	28
24. ფინანსური რისკების მართვა	29
25. კაპიტალის რისკების მართვა	31
26. პირობითი ვალდებულებები	32
27. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები	32
28. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33
მმართველობის ანგარიშგება	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „New Road“-ის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „New Road“-ის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია 1,489,252 ლარის ოდენობით. ჯგუფს არ ჩაუტარებია არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ზემოთმოცემული თარიღისათვის, შესაბამისად ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ასევე გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 23 დეკემბერს, ჩვენ ვერ დავესწარიტ ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთის ინვენტარიზაციას ვერც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით, მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც შესაბამის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 2 ოქტომბერს გამოთქვა პირობითი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციაზე დაუსწრებლობის გამო.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ▶ შვეისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

31 მაისი, 2024

თბილისი, საქართველო

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

31 მაისი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს "NEW ROAD"

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	28,650,950	29,288,621
არამატერიალური აქტივები	6	3,357	43,455
სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	8	6,182,917	178,838
სულ გრძელვადიანი აქტივები		34,837,224	29,510,914
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	1,489,252	1,135,472
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	25,475,166	16,189,088
საკონტრაქტო აქტივი	10	2,626,573	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	15	3,940,341	1,020,344
თანხები საგარანტიო ანგარიშებზე	9	13,841,790	12,346,644
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	5,189,965	5,967,487
სულ მიმდინარე აქტივები		52,563,087	36,659,035
სულ აქტივები		87,400,311	66,169,949
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		64,049	64,049
დაგროვილი მოგება		20,989,173	21,026,357
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილი წილი		21,053,222	21,090,406
არამაკონტროლებელი წილი		2,343,540	300,000
სულ კაპიტალი		23,396,762	21,390,406
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	164,843	710,562
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	14	17,363,781	25,333
მიღებული სესხები	13	5,998,157	9,080,382
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,526,781	9,816,277
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	543,947	1,132,469
მიღებული სესხები	13	5,796,501	4,525,132
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	34,136,320	28,991,747
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		-	313,918
სულ მიმდინარე ვალდებულებები		40,476,768	34,963,266
სულ ვალდებულებები		64,003,549	44,779,543
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		87,400,311	66,169,949

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე

ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხოძე


შპს "NEW ROAD"

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	28,650,950	29,288,621
არამატერიალური აქტივები	6	3,357	43,455
სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	8	6,182,917	178,838
სულ გრძელვადიანი აქტივები		34,837,224	29,510,914
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	1,489,252	1,135,472
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	25,475,166	16,189,088
საკონტრაქტო აქტივი	10	2,626,573	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	15	3,940,341	1,020,344
თანხები საგარანტიო ანგარიშებზე	9	13,841,790	12,346,644
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	5,189,965	5,967,487
სულ მიმდინარე აქტივები		52,563,087	36,659,035
სულ აქტივები		87,400,311	66,169,949
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		64,049	64,049
დაგროვილი მოგება		20,989,173	21,026,357
შმობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი წილი		21,053,222	21,090,406
არამაკონტროლებელი წილი		2,343,540	300,000
სულ კაპიტალი		23,396,762	21,390,406
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	164,843	710,562
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	14	17,363,781	25,333
მიღებული სესხები	13	5,998,157	9,080,382
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,526,781	9,816,277
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	543,947	1,132,469
მიღებული სესხები	13	5,796,501	4,525,132
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	34,136,320	28,991,747
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		-	313,918
სულ მიმდინარე ვალდებულებები		40,476,768	34,963,266
სულ ვალდებულებები		64,003,549	44,779,543
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		87,400,311	66,169,949

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე



ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხოიძე



9-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს "NEW ROAD"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	182,169,301	154,812,952
რელიზაციის თვითღირებულება	17	(159,556,828)	(128,830,983)
საერთო მოგება		22,612,473	25,981,969
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,251,505)	(3,807,240)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		19,360,968	22,174,729
ფინანსური ხარჯები, წმინდა	19	(1,860,080)	(1,252,572)
საკუთრო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	22	(76,477)	1,780,120
არასაოპერაციო შემოსავლები	20	425,577	639,621
არასაოპერაციო ხარჯები	21	(695,645)	(180,581)
მოგება დაბეგვრამდე		17,154,343	23,161,317
მოგების გადასახადი		(2,452,198)	(1,475,940)
წლის მთლიანი სრული მოგება		14,702,145	21,685,377
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,702,145	21,685,377

მათ შორის:

მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი	13,858,605	21,685,377
არამაკონტროლებელი წილი	843,540	-

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე

ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხომიძე

შპს "NEW ROAD"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)


	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	182,169,301	154,812,952
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(159,556,828)	(128,830,983)
საერთო მოგება		22,612,473	25,981,969
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,251,505)	(3,807,240)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		19,360,968	22,174,729
ფინანსური ხარჯები, წმინდა	19	(1,860,080)	(1,252,572)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	22	(76,477)	1,780,120
არასაოპერაციო შემოსავლები	20	425,577	639,621
არასაოპერაციო ხარჯები	21	(695,645)	(180,581)
მოგება დაბეგვრამდე		17,154,343	23,161,317
მოგების გადასახადი		(2,452,198)	(1,475,940)
წლის მთლიანი სრული მოგება		14,702,145	21,685,377
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,702,145	21,685,377

მათ შორის:


მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი	13,858,605	21,685,377
არამაკონტროლებელი წილი	843,540	-

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე



ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხოიძე



შპს "NEW ROAD"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	7,704,639	-	7,704,639
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	21,685,377	-	21,685,377
გამოცხადებული დივიდენდი	-	(8,363,659)	-	(8,363,659)
კაპიტალის ცვლილება	64,049	-	300,000	364,049
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	64,049	21,026,357	300,000	21,390,406
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	13,858,605	843,540	14,702,145
გამოცხადებული დივიდენდი	-	(13,895,789)	-	(13,895,789)
კაპიტალის ცვლილება	-	-	1,200,000	1,200,000
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	64,049	20,989,173	2,343,540	23,396,762

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე

ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხომიძე


შპს "NEW ROAD"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	7,704,639	-	7,704,639
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	21,685,377	-	21,685,377
გამოცხადებული დივიდენდი	-	(8,363,659)	-	(8,363,659)
კაპიტალის ცვლილება	64,049	-	300,000	364,049
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	64,049	21,026,357	300,000	21,390,406
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	13,858,605	843,540	14,702,145
გამოცხადებული დივიდენდი	-	(13,895,789)	-	(13,895,789)
კაპიტალის ცვლილება	-	-	1,200,000	1,200,000
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	64,049	20,989,173	2,343,540	23,396,762

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე



ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხოიძე



შპს "NEW ROAD"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		212,236,310	165,039,454
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(166,324,181)	(129,674,817)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(8,544,772)	(7,597,927)
თანამშრომლებზე გაცემული მივლინების სადღეღამისო		(1,039,050)	(789,435)
გადახდილი გადასახადები		(15,505,402)	(7,025,585)
საგარანტიო ანგარიშებზე თანხების მოძრაობა		(1,495,146)	819,221
სხვა გადახდილი თანხები		(117,985)	(118,045)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		19,209,774	20,652,866
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(3,608,519)	(7,903,443)
მიღებული პროცენტი		673,719	240,671
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,934,800)	(7,662,772)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(13,201,000)	(8,363,659)
გადახდილი პროცენტი		(1,669,066)	(1,167,435)
კაპიტალის შემცირება		-	(455,600)
კაპიტალის გაზრდა		1,200,000	821,521
კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი		5,368,563	7,321,949
მიღებული სესხის ძირის დაფარვა		(7,220,055)	(3,818,965)
ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი		(224,867)	(379,629)
ფინანსური იჯარის თანხის დაფარვა		(1,265,901)	(1,190,679)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(17,012,326)	(7,232,497)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)			
		(737,352)	5,757,597
ფული და ფულის ეკვივალენტები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	11	5,967,487	325,719
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	22	(40,170)	(115,829)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	5,189,965	5,967,487

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
 გიორგი კირვალიძე

ფინანსური დირექტორი
 სოფიკო ცხომიძე


შპს "NEW ROAD"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		212,236,310	165,039,454
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(166,324,181)	(129,674,817)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(8,544,772)	(7,597,927)
თანამშრომლებზე გაცემული მივლინების სადღეღამისო		(1,039,050)	(789,435)
გადახდილი გადასახადები		(15,505,402)	(7,025,585)
საგარანტიო ანგარიშებზე თანხების მოძრაობა		(1,495,146)	819,221
სხვა გადახდილი თანხები		(117,985)	(118,045)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		19,209,774	20,652,866
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(3,608,519)	(7,903,443)
მიღებული პროცენტი		673,719	240,671
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,934,800)	(7,662,772)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(13,201,000)	(8,363,659)
გადახდილი პროცენტი		(1,669,066)	(1,167,435)
კაპიტალის შემცირება		-	(455,600)
კაპიტალის გაზრდა		1,200,000	821,521
კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი		5,368,563	7,321,949
მიღებული სესხის ძირის დაფარვა		(7,220,055)	(3,818,965)
ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი		(224,867)	(379,629)
ფინანსური იჯარის თანხის დაფარვა		(1,265,901)	(1,190,679)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(17,012,326)	(7,232,497)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)			
		(737,352)	5,757,597
ფული და ფულის ეკვივალენტები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	11	5,967,487	325,719
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	22	(40,170)	(115,829)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	5,189,965	5,967,487

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე



ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხოიძე



შპს „NEW ROAD“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „New Road“ (შემდგომში „კომპანია“ და მის შვილობილ კომპანიებთან ერთად შემდგომში „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზურაბაძის ქ. N74-74ა-74ბ, სადარბაზო 2, ბ.65, (ნიშნული 3.45), სართული 1. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 441993112.

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

გიორგი კირვალიძე, (პ.ნ.: 01019048034) - გენერალური დირექტორი;

ზაზა ლომთათიძე, (პ.ნ.: 46001018877) - ტექნიკური დირექტორი;

სოფიკო ცხიძე, (პ.ნ.: 46001003286) - ფინანსური დირექტორი;

მესაკუთრე: (100%) - დავით ჟღენტი, (პ.ნ.: 01023009955).

შპს „New Road“ -ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების და ავტობანების მშენებლობა, ასფალტბეტონის წარმოება, ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

2019 წლის 22 მაისს კომპანიამ დააფუძნა ახალი შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“, 100%-იანი მფლობელობით.

შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“ -ის ძირითადი საქმიანობაა ასფალტო ბეტონის წარმოება.

იურიდიული მისამართია: საქართველო, ჩოხატაური ს. ქვემოერკეთი.

საიდენტიფიკაციო კოდია: 441996663.

დირექტორი - დავით ჟღენტი, (პ/ნ 01023009955).

2022 წლის 01 ივნისს კომპანიამ და შპს „ჯეოინვესტმა“ დაფუძნეს შპს „ნიუ ჯეო როუდი“.

შპს „ნიუ ჯეო როუდი“ -ის ძირითადი საქმიანობაა ასფალტო ბეტონის წარმოება.

იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქუჩა, N35, სართული 1, კომერციული ფართი N3.

საიდენტიფიკაციო კოდია: 405537290.

დირექტორი - გიორგი კუხალაშვილი (პ/ნ 01005033371)

კომპანიის მესაკუთრეები არიან: შპს „New Road“ (ს/ნ 441993112), 50% წილი და შპს „ჯეოინვესტი“

(ს/ნ 401968466), 50% წილი.

შპს New Road-მა კობა ჩეკურაშვილთან (პ/ნ 01017009816) და პაატა სირაძესთან (პ/ნ 61001014683) ერთად დააფუძნა შპს მისაქციელი რივერსაიდ (ს/ნ 405589037),

დირექტორი - სოფიკო ცხიძე (პ/ნ 46001003286).

შპს New Road-ის წილია 70%, კობა ჩეკურაშვილი 10% და პაატა სირაძე 20%.

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფმა განაგრძოს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისათვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ეს ცვლილებები გატარდა. არსებითი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვებისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალური ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შეიღობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შეიღობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შეიღობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შეიღობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;
- მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა დაანერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, არ იქნა დროზე ადრე დაანერგილი.

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვევლებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბრის და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“- შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოძღვლო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ინვესტორსა და მის მკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში

განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო / ლარი	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთის გამოყენების უფლება	არ იცვითება
ასფალტ-ბეტონის ქარხანა	10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10 წელი
შენობა-ნაგებობები	10-20 წელი
სამშენებლო ტექნიკა	5-10 წელი
სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა აღიარებულია თვითღირებულებით. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს ძირითადი საშუალებების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელსაც ესაჭიროება გარკვეული დრო, რათა ეს გრძელვადიანი აქტივები მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. სანამ სამშენებლო პროცესი არ მივა ასეთ მდგომარეობამდე, ჯგუფი მას აღრიცხავს როგორც დაუმთავრებელ მშენებლობას და შემდეგ გადააქვს ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფზე.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ჯგუფი თავის ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად:

- სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით.
- ამორტიზირებული ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური აქტივები რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ან და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. წილობრივი ინსტრუმენტების კლასიფიკაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით ჯგუფი აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი:

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი

ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას. SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი). შეფასებისას, ჯგუფი განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სისცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვა მოთხოვნები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, შემცირებული სავარაუდო საკრედიტო ზარალით.

აღიარების შეწყვეტა: ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც ადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ პერიოდებში ჯგუფს არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან. ჯგუფს აქვს სესხები მისი მფლობელისგან ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირე რისკს.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთსაფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც ჯგუფი ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე.

აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

ამონაგები საშენებლო კონტრაქტებიდან

თუ შესაძლებელია საშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, საშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება ამონაგებისა და ხარჯების სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

ჯგუფი ეტაპობრივად ასრულებს სამუშაოებს და დაახლოებით თვეში ერთხელ დამკვეთთან ფორმდება აქტი შესრულებულ სამუშაოებზე, სადაც საიმედოდ შეფასებული შედეგებია მოცემული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დანახარჯებს დამატებული ანაზღაურების ტიპის კონტრაქტებისათვის ამონაგები აღიარდება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ასანაზღაურებელი დანახარჯებისა და სამშენებლო ხელშეკრულებაში მოცემული საერთო მარჟის მიხედვით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედო შეფასება, ჯგუფი აღიარებს ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ საკონტრაქტო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და საკონტრაქტო დანახარჯების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი განხორციელდა.

საკონტრაქტო დანახარჯები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გაწევა. თუ ჯგუფის ხელმძღვანელობა მოელოს, რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს: ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტებთან; ბ) დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო საქმიანობისათვის და შესაძლებელია მისი მიკუთვნება კონკრეტულ კონტრაქტზე; და გ) ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დამკვეთს ერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანახარჯები შესაძლოა შემცირდეს მოულოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად, რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული. ჯგუფი სამშენებლო ზედნაღებში დანახარჯების განაწილებას ხორციელებს სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. შერჩეული მეთოდი გამოიყენება მუდმივად ყველა ანალოგიური ტიპის დანახარჯისათვის. დანახარჯების განაწილება ხორციელდება სამშენებლო საქმიანობის საშუალო დონის მიხედვით.

ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშების თანხების ჯამს, ჯგუფს წარმოექმნება დამკვეთისაგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში. როდესაც შუალედური ანგარიშების თანხები აღემატება გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხას, ჯგუფს წარმოექმნება დამკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

თანხები, რომელიც დარიცხულია შესრულებული სამუშაოსთვის, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში „სავაჭრო და სხვა მოთხოვნები“.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ასფალტის საწარმოებ მასალებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ა) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. თუ ჯგუფს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

ბ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შეიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ღირებულებას, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ჯგუფი მას გამოიყენებს და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადის შეწყვეტის უფლების გამოყენებას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიზნული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამოწვევი მოვლენა ან გარემოება. საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში. სტანდარტზე გადასვლის თარიღის მდგომარეობით, ჯგუფმა გამოიყენა ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი 14.0%.

გ) მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

დ) განახლების პირობის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა

ჯგუფი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის გამოყენების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი გამოყენება არ მოხდება.

ე) საიჯარო გადასახადები

ზოგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ფიქსირებული გადახდების გარდა, ხელშეკრულებით ცვალებადი გადახდებიც არის გათვალისწინებული. ფასს 16-ის მიხედვით, საიჯარო გადასახადები არ უნდა შეიცავდეს რამე ცვალებად გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. მაგალითად, თუ ცვალებადი იჯარა დამოკიდებულია საქმიანობის შედეგებზე, იგი არ უნდა შევიდეს საიჯარო გადასახადებში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან. მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, სპეციფიკიდან გამომდინარე, გადავადებული მოგების გადასახადის არსებობა აზრს კარგავს, ხოლო მიმდინარე პერიოდში მისი წარმოქმნა არ ხდება. ამიტომ, 2015 წელს წაროქმნილი გადავადებული მოგების გადასახადი ჯგუფმა გააუქმა 2016 წელს.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფი თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა ხარჯების“ და „ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის“ მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება ჯგუფის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც ჯგუფის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ჯგუფს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად ჯგუფში არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი.

დ) სამშენებლო კონტრაქტების დასრულების ეტაპი

ჯგუფი აღიარებს სამშენებლო შემოსავალს ფასს 15-ის მიხედვით, თითოეული სამშენებლო კონტრაქტისთვის სამუშაოს ფიზიკური ნაწილის დასრულების განსაზღვრით. მენეჯმენტი აფასებს ხელშეკრულების დასრულების ეტაპს ანგარიშგების თარიღისთვის დასრულებული სამუშაო ერთეულების ფაქტობრივი რაოდენობის და მთელი კონტრაქტისთვის შესასრულებელი სამუშაო ერთეულების საერთო რაოდენობის შეფასებით.

შპს “ NEW ROAD”

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთის გამოყენების უფლება	ასფალტო- ბეტონის ქარხანა	შენობა- ნაგებობები	სამშენებლო ტექნიკა	სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	641,073	9311,946	721,328	9,736,129	8,174,436	157,665	883,425	29,626,002
დამატება	216,353	2,870,203	34,424	8,517	4,082,938	33,023	918,865	8,164,323
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	-	(673,698)	(8,618)	(15,627)	(697,943)
31 დეკემბერი 2022	857,426	12,182,149	755,750	9,744,646	11,583,676	182,070	1,786,663	37,092,380
დამატება	90,148	-	4,233	1,832,641	1,013,523	13,797	280,754	3,235,096
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	-	(1,103,246)	(71,297)	-	-	(1,174,543)
31 დეკემბერი 2023	947,574	12,182,149	759,983	10,474,041	12,525,902	195,867	2,067,417	39,152,933
აკუმულირებული ცვეთა								
31 დეკემბერი 2021	238,907	2,075,300	50,184	1,550,852	1,297,735	59,366	196,662	5,469,006
პერიოდის ცვეთა	91,582	755,650	22,759	681,394	762,984	24,189	155,963	2,494,521
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(139,202)	(7,121)	(13,445)	(159,768)
31 დეკემბერი 2022	330,489	2,830,950	72,943	2,232,246	1,921,517	76,434	339,180	7,803,759
პერიოდის ცვეთა	91,582	859,891	25,716	716,888	949,809	27,363	254,547	2,925,796
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(206,626)	(20,946)	-	-	(227,572)
31 დეკემბერი 2023	422,071	3,690,841	98,659	2,742,508	2,850,380	103,797	593,727	10,501,983
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	526,937	9,351,199	682,807	7,512,400	9,662,159	105,636	1,447,483	29,288,621
31 დეკემბერი 2023	525,503	8,491,308	661,324	7,731,533	9,675,522	92,070	1,473,690	28,650,950

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებათა 25,736 ლარი (2022: 13,873 ლარი).

ძირითადი საშუალებების ზემოთ წარდგენილი განმარტებითი შენიშვნები მოიცავს იჯარით მიღებულ აქტივებს.

შპს "NEW ROAD"

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის ლიზინგით მიღებულ აქტივები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	სამშენებლო ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	641,073	4,858,450	5,499,523
31 დეკემბერი 2022	641,073	4,858,450	5,499,523
31 დეკემბერი 2023	641,073	4,858,450	5,499,523
აკუმულირებული ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	238,907	594,680	833,587
წლის ცვეთა	91,582	336,345	427,927
31 დეკემბერი 2022	330,489	931,025	1,261,514
წლის ცვეთა	91,582	336,300	427,882
31 დეკემბერი 2023	422,071	1,267,325	1,689,396
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	310,584	3,927,425	4,238,009
31 დეკემბერი 2023	219,002	3,591,125	3,810,127

ჯგუფის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებიდან 21,250,052 ლარის ძირითად საშუალებებზე რეგისტრირებულია გირავნობა/იპოთეკა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ. გარდა ამისა, ჯგუფის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებიდან 1,816,835 ლარის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრირებულია გირავნობა სადაზღვევო კომპანიის მიერ.

ჯგუფის ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა გადანაწილდა შემდეგნაირად:

	2023	2022
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	108,245	136,415
რეალიზაციის თვითღირებულება	2,817,551	2,358,106
სულ ცვეთის ხარჯი	2,925,796	2,494,521

6. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	190,159	1,864	192,023
დამატება	94,348	1,187	95,535
31 დეკემბერი 2022	284,507	3,051	287,558
დამატება	53,182	-	53,182
გასვლა	(94,348)	-	(94,348)
31 დეკემბერი 2023	243,341	3,051	246,392
აკუმულირებული ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2021	189,853	-	189,853
ამორტიზაცია	54,250	-	54,250
31 დეკემბერი 2022	244,103	-	244,103
ამორტიზაცია	53,182	-	53,182
გასულის ამორტიზაცია	(54,250)	-	(54,250)
31 დეკემბერი 2023	243,035	-	243,035

შპს “ NEW ROAD”

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

6. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2022	40,404	3,051	43,455
31 დეკემბერი 2023	306	3,051	3,357

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიებს ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოპოვებული ბუნებრივი რესურსების პროპორციულად. ამორტიზაციის ხარჯი მთლიანად გროვდება მოპოვებული ქვიშა-ხრემის თვითღირებულებაში.

7. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ქვიშა-ხრემოვანი ნარევი	699,331	437,868
ბიტუმი	319,921	38,446
სათადარიგო ნაწილები	194,583	280,991
მცირეფასიანი ინვენტარი	169,059	266,140
საწვავი	101,335	79,330
სხვა	5,023	32,697
სულ მარაგები	1,489,252	1,135,472

ჯგუფის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	21,554,991	14,572,250
სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი	6,182,917	178,838
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	3,836,006	1,532,669
გარანტიებისთვის და დაზღვევისთვის წინასწარ გადახდილი საკომისიო	84,169	84,169
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31,658,083	16,367,926

სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებულ თანხებს და 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 6,182,917 ლარს (ხოლო 2022: 178,838 ლარი).

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ყველა მოთხოვნა სრულად დაბრუნებადია. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ყველა ნაშთი დენომინირებულია ქართულ ლარში.

9. თანხები საგარანტიო ანგარიშებზე

ჯგუფის საგარანტიო ანგარიშებზე თანხები წარმოადგენს თიბისი ბანკის მიერ პროექტების გარანტიების უზრუნველსაყოფად დაკავებულ ბლოკირებულ თანხებს, რომელიც 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 13,841,790 და 12,346,644 ლარს შესაბამისად.

10. საკონტრაქტო აქტივი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ საკონტრაქტო აქტივი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,626,573 ლარს.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,189,785	5,956,800
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	180	10,687
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	5,189,965	5,967,487

ფულის ნაშთი ბანკში კლასიფიცირდება როგორც ურისკო. ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

12. საიჯარო ვალდებულება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	543,947	1,132,469
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	164,843	710,562
სულ საიჯარო ვალდებულება	708,790	1,843,031

ჯგუფს იჯარით აღებული აქვს მიწის ნაკვეთი და სამშენებლო ტექნიკა. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ერთ წელიწადში საიჯარო გადასახადები	609,573	1,340,149
ფინანსური გადასახადი	(65,626)	(207,680)
	543,947	1,132,469
მეორედან მეხუთე წლების ჩათვლით საიჯარო გადასახადები	186,323	797,967
ფინანსური გადასახადი	(21,480)	(87,405)
	164,843	710,562
წმინდა მიმდინარე ღირებულება	708,790	1,843,031

ჯგუფმა გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვით ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

საიჯარო ვალდებულებების ყველა ნაშთი დენომინირებულია ქართულ ლარში

შპს “ NEW ROAD”

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

13. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებულ სესხებში შემდეგი ცვლილებები განხორცილდა 2023 და 2022 წლების განმავლობაში:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	13,605,514	11,651,663
სესხის მიღება	5,368,563	7,321,949
სესხის ძირის გადახდა	(7,220,055)	(3,818,965)
პროცენტის დარიცხვა	1,669,912	1,258,771
პროცენტის გადახდა	(1,669,066)	(1,167,435)
საკურსო სხვაობის ეფექტი	39,790	(1,640,469)
საბოლოო ნაშთი	11,794,658	13,605,514

ჯგუფს მიღებული აქვს სესხები საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისგან:

სესხის დასახელება	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
თიბისის სესხი ხელშ. # 7837780-12060591 (ქარხანა)	13%	ლარი	21-ივნ-22	1-ივლ-26	2,443,377	3,218,512
თიბისის მოკლევადიანი სესხი # 2293956-13003062	4%	ლარი	28-დეკ-23	4-იან-24	2,500,000	-
თიბისი ბანკი (მანქანები) ხელშ# 2293956-10859124	4.8% + ეურიბორის განაკვეთი	ევრო	19-თებ-20	19-თებ-25	1,445,059	2,251,954
პროკრედიტ ბანკი ხელშ# 75.7246	5.00%	აშშ დოლარი	30-ნოე-20	17-ნოე-25	2,233,299	3,326,623
პროკრედიტ ბანკი ხელშ# 75.7397	5.00%	აშშ დოლარი	23-დეკ-20	15-დეკ-25	1,070,546	1,563,095
პროკრედიტ ბანკი ხელშ# 75.8363	8.70%	ევრო	28-ოქტ-21	15-ოქტ-26	299,328	376,023
პროკრედიტ ბანკი ხელშ# 75.9117 (მანქანები)	6.70%	ევრო	8-ივლ-22	15-ივლ-25	827,014	1,315,887
პროკრედიტ ბანკი ხელშ# 75.9178 (მანქანები)	6.70%	ევრო	14-ივლ-22	15-ივლ-25	630,824	1,003,747
პროკრედიტ ბანკი ხელშ# 75.9122 (მანქანები)	6.70%	ევრო	14-ივლ-22	15-ივლ-25	345,211	549,673
სულ მიღებული სესხები					11,794,658	13,605,514
სესხის ძირი					11,702,350	13,515,155
დარიცხული პროცენტი					92,308	90,359

შპს "NEW ROAD"

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხები გამოყენებულია ძირითადი საშუალებების შესაძენად და უზრუნველყოფილია კომპანიის აქტივებით (ძირითადი საშუალებებით).

სს თიბისი ბანკის სესხი (შპს New Road) უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით 31.12.2023 მდგომარეობით: საკ. კოდი 01.10.14.025.039.01.02.003, ქალაქი თბილისი საირმის ქუჩა N 35, კომერციული ფართი N3 სართული1, 158.6 კვ.მ, საკ. კოდი ქალაქი თბილისი საირმის ქუჩა N 35, 168 კვ.მ

სს პროგრედიტ ბანკის სესხები უზრუნველყოფილია მესამე პირების უძრავი ქონებით 31.12.2023 მდგომარეობით: საცხოვრებელი ფართი, ს/კ 20.42.06.589.01.052, გირაოს მესაკუთრე: ლაზიშვილი ეთერ, პ.ნ:61004016598;

სს პროგრედიტ ბანკის სესხები უზრუნველყოფილია მესამე პირების უძრავი ქონებით 31.12.2023 მდგომარეობით: საცხოვრებელი ფართი, ს/კ 20.42.06.589.01.054, გირაოს მესაკუთრე: ლაზიშვილი ეთერ პ.ნ:61004016598;

სს პროგრედიტ ბანკის სესხები უზრუნველყოფილია მესამე პირების უძრავი ქონებით 31.12.2023 მდგომარეობით: საცხოვრებელი ფართი, ს/კ 01.12.07.015.020.01.039, გირაოს მესაკუთრე: ლაზიშვილი ეთერ პ.ნ:61004016598;

სს პროგრედიტ ბანკის სესხები უზრუნველყოფილია მესამე პირების უძრავი ქონებით 31.12.2023 მდგომარეობით: საცხოვრებელი ფართი, ს/კ 01.12.07.009.004.01.027, გირაოს მესაკუთრე: ჭანტურია გოდერძი პ.ნ:01023004615;

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,921,117	8,480,011
სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	2,523,521	25,333
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსების მოკლევადიანი ნაწილი	23,215,203	20,511,736
მიღებული ავანსების გრძელვადიანი ნაწილი	14,840,260	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51,500,101	29,017,080

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ყველა ნაშთი დენომინირებულია ქართულ ლარში. სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებულ თანხებს და 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 2,523,521 ლარს (ხოლო 2022: 25,333 ლარი). მიღებული ავანსების გრძელვადიანი ნაწილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ისეთი შესასრულებელი სამუშაოებისათვის მიღებულ თანხებს, რომლის შესრულებაც გრაფიკით იგეგმება 2024 წლის შემდგომ.

15. საგადასახადო აქტივი, წმინდა

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივი ან ვალდებულებისგან. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა საგადასახადო აქტივმა შეადგინა 3,940,341 და 1,020,344 ლარი შესაბამისად.

16. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
ამონაგები გზების მშენებლობიდან	149,001,455	117,838,688
ამონაგები მასალების რეალიზაციიდან	25,613,127	33,370,116
საიჯარო შემოსავალი ტექნიკიდან და სხვადასხვა მასალის ტრანსპორტირებიდან	4,656,126	2,563,589
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	2,898,593	1,040,559
სულ ამონაგები	182,169,301	154,812,952

შპს "NEW ROAD"

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

17. რეალიზაციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
შემენილი/ნაწარმოები სმფ	93,831,927	96,410,874
მიღებული მომსახურება გზის მშენებლობა	54,063,965	19,735,081
ტექნიკის რემონტის ხარჯი	3,755,740	2,951,613
საწარმოო ტექნიკის ცვეთა	2,817,551	2,358,106
ბუნებრივი აირის ხარჯი	1,777,676	2,606,996
პერსონალის ხარჯები	1,073,648	901,293
სატრანსპორტო ხარჯი	1,010,860	1,543,043
საწვავის ხარჯი	779,571	1,674,160
სხვა ხარჯი	445,890	649,817
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	159,556,828	128,830,983

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
პერსონალის ხარჯები	2,450,448	2,937,700
სხვა საგადასახადო ხარჯი	218,688	221,814
საწვავის ხარჯი	200,643	163,482
ცვეთა	108,245	136,415
საოფისე ინვენტარი	43,141	101,656
კომუნალური ხარჯები	35,823	34,320
ბანკის მომსახურების საკომისიო	34,908	18,430
საკონსულტაციო ხარჯები	16,375	9,465
მივლინების ხარჯი	6,079	1,637
მოთხოვნების გაუფასურება	-	95,541
სხვა საერთო ხარჯი	137,155	86,780
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,251,505	3,807,240

19. ფინანსური ხარჯი, წმინდა

ჯგუფის საპროცენტო ხარჯი, წმინდა 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
ფინანსური შემოსავალი	1,224,486	518,965
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	673,719	208,898
გრძელვადიანი მოთხოვნების ამორტიზაციის ეფექტი	394,351	209,779
სუბსიდია - სესხის თანადაფინანსება	156,416	100,288
ფინანსური ხარჯი	3,084,566	1,771,537
გრძელვადიანი ვალდებულებების ამორტიზაციის ეფექტი	1,195,681	155,895
ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი	1,130,325	852,066
საგარანტიო თანხებზე დარიცხული პროცენტი	539,587	406,705
იჯარაზე დარიცხული ფინანსური ხარჯი	218,973	356,871
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	1,860,080	1,252,572

შპს "NEW ROAD"

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

20. არასაოპერაციო შემოსავლები

ჯგუფის არასაოპერაციო შემოსავალი 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
ოზურგეთის ქარხანაში ბიტუმის ზედმეტობიდან შემოსავალი	403,032	471,459
სადაზღვევო ანაზღაურება	17,313	73,555
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	4,672	73,431
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	560	21,176
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	425,577	639,621

21. არასაოპერაციო ხარჯები

ჯგუფის არასაოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან ხარჯი	364,255	28,620
სხვადასხვა დაფინანსება და საჩუქრები	254,589	49,925
სხვა	76,801	99,290
ჯარიმები/საურავი	-	2,746
სულ არასაოპერაციო ხარჯები	695,645	180,581

22. საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა

ჯგუფის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი), წმინდა 2023 და 2022 წლების მიხედვით შეადგენს:

	2023	2022
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება	225,633	2,209,203
მიღებული სესხებიდან	214,720	1,931,015
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,186	4,230
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,126	227,120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,601	46,838
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი	(302,110)	(429,084)
მიღებული სესხებიდან	(254,510)	(290,546)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(47,356)	(120,059)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(244)	(18,479)
სულ საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი), წმინდა	(76,477)	1,780,120

23. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,737,908	14,751,088
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	5,189,965	5,967,487
საგარანტიო თანხა რეზიდენტ ბანკში (ლარი)	13,841,790	12,346,644
სულ ფინანსური აქტივები	46,769,663	33,065,219

შპს “ NEW ROAD”

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

23. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
ამორტიზირებული ღირებულება		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	708,790	1,843,031
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,444,638	8,505,344
სესხები	11,794,658	13,605,514
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,948,086	23,953,889

24. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფი ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება მიღებულ სესხებს, რომლებიც აშშ დოლარში და ევროშია ნომინირებული. ჯგუფს ასევე აქვს იჯარის ვალდებულებები აშშ დოლარში.

ქვედა ცხრილში მოცემულია ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

31 დეკემბერი 2023

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	41	139
	41	139
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	3,285,431	3,473,542
	3,285,431	3,473,542
წმინდა პოზიცია	(3,285,390)	(3,473,403)

31 დეკემბერი 2022

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	41	-
	41	-
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	4,889,720	5,468,163
	4,889,720	5,468,163
წმინდა პოზიცია	(4,889,679)	(5,468,163)

24. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი განაკვეთით. აღნიშნული 10% არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის დოლარის და ევროს მიმართ ლარის 10%-იანი კლება/მატების გავლენას ჯგუფზე ქართულ ლარში:

მოგება-ზარალი:	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2023	2022	2023	2022
ლარის გამყარება	328,539	488,968	347,340	546,816
ლარის დევალვაცია	(328,539)	(488,968)	(347,340)	(546,816)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან. მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

ჯგუფს არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე.

ჯგუფი არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესიო ვალდებულება. შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შპს "NEW ROAD"

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

24. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2023

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სესხი	სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		14.0%	6.1%	14.1%	
1 წლამდე	10,921,117	543,947	5,796,501	-	17,261,565
1-5 წლამდე	-	164,843	5,998,157	2,523,521	8,686,521
სულ	10,921,117	708,790	11,794,658	2,523,521	25,948,086

31 დეკემბერი 2022

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სესხი	სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		14.0%	6.1%	14.1%	
წლამდე	8,480,011	1,132,469	4,525,132	-	14,137,612
1-5 წლამდე	-	710,562	9,080,382	25,333	9,816,277
სულ	8,480,011	1,843,031	13,605,514	25,333	23,953,889

25. კაპიტალის რისკების მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებელი უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის დამფუძნებელს და აკუმულირებულ მოგებას.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მთლიანი კაპიტალი	23,396,762	21,390,406
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(5,189,965)	(5,967,487)
კაპიტალი	18,206,797	15,422,919
მთლიანი კაპიტალი	23,396,762	21,390,406
სესხები	11,794,658	13,605,514
სრული ფინანსირება	35,191,420	34,995,920
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.52	0.44

26. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

27. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ბრუნვები და ნაშთები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2023		
	უმალესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	3,777,785	3,777,785
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	590,657	590,657
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	-	7,304,620	7,304,620
შემენილი მარაგების თვითღირებულება	-	35,006,469	35,006,469
ხელფასები და სხვა სარგებელი	1,318,970	-	1,318,970

	31 დეკემბერი 2022		
	უმალესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,271,373	1,271,373
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	19,900	19,900
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	-	1,155,427	1,155,427
შემენილი მარაგების თვითღირებულება	-	18,348,706	18,348,706
ხელფასები და სხვა სარგებელი	1,840,669	-	1,840,669

შპს “ NEW ROAD”

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

28. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 მაისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

სესხის დაფარვა

შპს New Road-მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე სესხების ძირის დასაფარად ჯამურად გადაიხადა 6,828,031 ლარი.

შპს ნიუ ჯეო როუდმა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე სესხების ძირის დასაფარად ჯამურად გადაიხადა 339,680 ლარი.

სესხის მიღება

შპს New Road-მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე აიღო 8,380,000 ლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება კომერციული ბანკებისგან ძირითადი საშუალებების შეძენის მიზნით. შვილობილი კომპანიების მიერ სესხის მიღება არ ფიქსირდება.

დივიდენდის გაცემა

შპს New Road-მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე დამფუძნებელზე გასცა დივიდენდი 3,308,500 ლარის ოდენობით, ხოლო შვილობილი საწარმოსგან დივიდენდის მიღება არ ფიქსირდება.

კაპიტალის ზრდა

შპს ნიუ ჯეო როუდის კაპიტალი გაიზარდა 500,000 ლარით ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე. აქედან, შპს New Road-ის მიერ შეტანილი წილი შეადგენს 180,000 ლარს, ხოლო მეორე დამფუძნებლის, შპს ჯეონივესტის წილი 320,000 ლარს.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შპს ნიუ როუდ ჯგუფმა შეიძინა შპს ნიუ ტრანს როუდი-ს 100% წილი, ინვესტიცია შვილობილ საწარმოში შეადგენს 3,500,000 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „New Road“

მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

1.	ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ	1
2.	კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	10
3.	გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები	10
4.	კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	11
5.	სოციალური და დასაქმების საკითხები	12
6.	შვილობილი კომპანიის მიმოხილვა	13
7.	საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	16
8.	კომპანიის სამომავლო გეგმები და 2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები	17
9.	მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება	18

1. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „New Road“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია დაარსდა 2010 წლის 29 ოქტომბერს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბურძგლას ქ., N74-74ა-74ბ, სადარბაზო 2, ბ. 65, (ნიშნული 3.45), სართული 1 .

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია დავით ჟღენტი.

კომპანიის გენერალური დირექტორია გიორგი კირვალიძე (პ/ნ 01019048034), ფინანსური დირექტორი - სოფიკო ცხომიძე (პ/ნ 46001003286), ტექნიკური დირექტორი - ზაზა ლომთათიძე (პ/ნ 46001018877).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მშენებლობა, ასფალტ-ბეტონის წარმოება, ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება. ასევე მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, ასფალტ-ბეტონის გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას. კომპანიის დამატებითი საქმიანობაა ტექნიკით გაწეული და სატრანსპორტო მომსახურება.

ეროვნული კლასიფიკატორები (NACE 2004): გზების, აეროდრომებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობა (45.23)

ეროვნული კლასიფიკატორები (NACE 2016): გზების და ავტობანების მშენებლობა (42.11.0).

კომპანია ორიენტირებულია უმაღლეს ხარისხზე და წარმატებით იყენებს მსოფლიოში არსებულ უახლეს ტექნოლოგიებს.

ამის შედეგია 2018 და 2019 წელს მოპოვებული წლის საუკეთესო საგზაო კომპანიის ჯილდო.

შპს „New Road“ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში და მაღალპროფესიონალურ დონეზე აქვს შესრულებული არაერთი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტი.

2015 წლიდან დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაში, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით.

კომპანიას ოფიციალურად დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

კომპანია ფლობს ასფალტ-ბეტონის დამამზადებელ ქარხანას, გურიაში, ოზურგეთის რაიონი სოფელი დვანზე. უშუალოდ ასფალტ-ბეტონის ქარხნის წლიური წარმადობაა 180 000 ტ/წელ. (საშუალო წარმადობა-150 ტ/სთ). 8 სთ და 150დლ მუშაობის პირობებში წლიური მუშაობის დროის ფონდი შეადგენს 1200 სთ-ს (8სთ/დღ * 150 დღ/წელ).




BENNINGHOVEN MBA 3000 ტიპის ასფალტმემრევი მოწყობილობის ტექნოლოგიური მართვა ხორციელდება ოპერატორის მიერ. ოპერატორის სამუშაო ადგილი მოთავსებულია სპეციალურ კაბინაში, რომელიც აღჭურვილია მართვის დისტანციური პულტით.

კომპანიის გუნდი დაკომპლექტებულია საკმაოდ გამოცდილი კადრებით, რომელთაც აქვთ მკაცრად განსაზღვრული ძირეული პრინციპები და ხედვა, მათი გამოცდილება საშუალებას აძლევს კომპანიას მაღალი ხარისხით და დროულად შეასრულოს ნებისმიერი სირთულის სამუშაოები.

კომპანიის სტრუქტურა


კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა არის ეფექტური, მოქნილი და ამოცანებზე მისადაგებული, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა. სამუშაოს ორგანიზებისთვის გამოიყენება ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურა.



კომპანიის ძირითად მართვას ახორციელებს გენერალური დირექტორი, თუმცა ყოველდღიური მართვის პროცესში ჩართულია ფინანსური დეპარტამენტი, ასევე გაყიდვებისა და შესყიდვების განყოფილება. მათი მიზანია ხელი შეუწყონ კომპანიის მართვასა და განვითარებას, უზრუნველყონ პროექტების რეალური გეგმების არსებობა და მათი შესრულება ხარისხიანად, მონაწილეობა მიიღონ საინტერესო ტენდერებში და რაციონალურად მოხდეს შესყიდვების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის დინამიკა წლების განმავლობაში ასეთია:



(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კომპანია მუდმივად ცდილობს მიჰყვეს ტექნოლოგიურ განვითარებას და ინოვაციებს, სამშენებლო პროცესში გამოიყენოს თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები, რაც საშუალებას იძლევა დამკვეთებისათვის შეთავაზებული იქნას მაქსიმალურად ოპტიმიზირებული ხარჯები.

შპს „New Road“-ის პარტნიორები არიან:

-  **საავტომობილო გზების დეპარტამენტი** - რომელიც ახორციელებს საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პროექტებსა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით.
-  **THE WORLD BANK** - მსოფლიო ბანკის ჯგუფი მუშაობს განვითარების ყველა მნიშვნელოვან სფეროში. თავაზობს ფინანსურ პროდუქტთა ფართო სპექტრს და ტექნიკურ დახმარებას და ეხმარება ქვეყნებს გაიზიარონ და გამოიყენონ ინოვაციური ცოდნა და გადაწყვეტილებები მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისთვის.
-  **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)** - კერძო სექტორს სთავაზობს ისეთ დაფინანსებას, რომელიც ბაზარზე არ არის ხელმისაწვდომი კომერციული წყაროებიდან, გონივრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
-  **ვირტგენ საქართველო** - კომპანიის მთავარი საქმიანობაა გზების მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკითა და სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, ასევე ახორციელებს საგზაო ტექნიკის შეკეთების მომსახურებას.
-  **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** - რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შპს „New Road“ მმართველობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კომპანიის მიერ დასრულებული და მიმდინარე პროექტებია:



საერთაშორისო მნიშვნელობის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ6+000 - კმ14+000 მონაკვეთის (ლოტი 1) სარეაბილიტაციო სამუშაოები,



ს-12 სენაკი-ფოთი-სარფი კმ 107 119, კმ 79 80, კმ 61 63 მონაკვეთებში დაზიანებული საფარის პერიოდული შეკეთების სამუშაოები



ს-12 ქუთაისი ხონი სამტრედია კმ 17 34 მონაკვეთებში დაზიანებული საფარის პერიოდული შეკეთების სამუშაოები



ს-12 ქუთაისი – ტყიბული – ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ 7– კმ 13 მონაკვეთებში დაზიანებული საფარის პერიოდული შეკეთების სამუშაოები



ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ხორგა – ყულევის დამაკავშირებელი 16 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები,



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ბუკისციხე-ზემო სურების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის კმ0+00 – კმ6+500 სარეაბილიტაციო სამუშაოები,

შპს „New Road“ მმართველობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჭალადიდი-ხორგა-
ხობის საავტომობილო გზის კმ 1-კმ 4 მონაკვეთის
სარეაბილიტაციო სამუშაოები,



სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საავტომობილო გზების
პერიოდული შეკეთების სამუშაოები,



საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთის-ქობულეთის კმ19,5-კმ35,
ნომერი: NAT:200007316 და საავტ. გზის კმ49-კმ54 მონაკვეთის
სარეაბილიტაციო სამუშაოები,



საჩხერე-ქვემო ხევი-უზუმთას საავტომობილო გზის შკმერი-
ზუდალის კმ 40.9-კმ 48.6,



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-14)
ქუთაისი(საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას
საავტომობილო გზის, კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის
სარეაბილიტაციო სამუშაოები,

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩაქვი-მახინჯაურის გვირაბის შემოვლითი გზის კმ1-კმ6
მონაკვეთებში დაზიანებული საფარის პერიოდული შეკეთების სამუშაოები



შპს „New Road“ მმართველობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გუფთა-ონის საავტომობილო გზის კმ54- კმ63 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები,



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი – ვანი – დაფნარის საავტომობილო გზის კმ 0 -კმ 1 მონაკვეთებში დაზიანებული საფარის პერიოდული შეკეთების სამუშაოები და იმავე გზის კმ 35 -კმ 48 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები,



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია კმ75- კმ81,



ოზურგეთი-შემოქმედი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი-გომისმთას საავტომობილო გზის კმ13-კმ32.6 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულება ე.ტ.N108-20 31.08.2020



თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ. 291-კმ. 292



საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ21+000-კმ27+500 და კმ38+000-კმ40+000 მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ლოტი-2 კმ21+000-კმ27+500 ხელშეკრულება ე.ტ.109-20, 07.09.2020



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და გურიის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები ხელშ. ე.ტ N59-20 26.06.2020



სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები ხელშეკრულება ე.ტ.#118-20 16.09.2020



საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი კმ. 19,5-კმ.-35



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-19) ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის საავტომობილო გზის კმ3+600-კმ15+200 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

შპს „New Road“ მმართველობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-22) გომი - საჩხერე - ჭიათურა - ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ84+000 - კმ107+000 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების (დამეწყრილი უბნების გარეშე)

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ0+310-კმ4+040 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი 0 - ვაზიანის შემოსავლელი გზა)



სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის კმ 21 - კმ 22



ქუთაისი (მოწამეთა)- ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ35+000 - კმ44+000



ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილი ს.გზის კმ128+540 - კმ131+430

შპს „New Road“ მმართველობის ანგარიშგება

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)



ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის სგზის კმ 0+000 - კმ 3+600



ტყიბული ამბროლაური 35 კმ 44 კმ



გურია-აჭარის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები.



თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ0+310-კმ4+040 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი 0 - ვაზიანის შემოსავლელი გზა)



ქვემო ქართლი რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები



2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების კონკურენციის და პროდუქციის შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით, მათ შორის ელექტრონული ტენდერების ანალიზით, და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

3. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

კომპანიის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება;

კომპანია ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე კომპანია ვალდებულია იღებდეს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითადად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

4. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების გატარება და მონიტორინგი. რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის განიხილება სტრატეგიული, ფინანსური, ოპერაციული და სხვა რისკები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორით გამოწვეული.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლის გაუარესებაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და თავის მხრივ, კომპანიის დაკვეთებზე.

საკადრო და საორგანიზაციო რისკები:

ვინაიდან სპეციალისტების და ინჟინრების მოძიება საკმაოდ რთულია, კომპანიის მთავარი ამოცანაა არსებული თანამშრომლების შენარჩუნება, განვითარება და მოტივირება, რათა არ იყოს კადრების დინების მაღალი კოეფიციენტი.

შრომის უსაფრთხოების რეგულაციების გამკაცრება გარკვეულ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რადგან ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ რომ არა მხოლოდ ჩვენმა კადრებმა მიიღეს ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგები არამედ ქვეკონტრაქტორის ყველა თანამშრომელი გაეცნო ცვლილებებს და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კომერციული რისკები

კომპანია ცდილობს, როგორც პროექტების ასევე დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას რათა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პროექტის შეჩერების, შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელი და უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ზრდა განვითარება.

ოპერაციული რისკები

ოპერაციების ზრდა ასევე არის დაკავშირებული კომერციულ რისკებთან, რაც თავისთავად გულისხმობს სწორ დაგეგმვას და ასევე კადრებისთვის ახალი მოვალეობების და მოთხოვნების დელეგირებას რათა შენარჩუნებული იქნეს მაღალი ხარისხი და მოხდეს დროის ოპტიმალური გამოყენება.

ფინანსური რისკები

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანაგრიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომელთაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში და ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს. სახელმწიფო ტენდერებში კონტრაქტის ფასი განსზღვრულია ეროვნულ ვალუტაში და ძირითადი მასალების ღირებულება, რომელიც კომპანიას ესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად, დამოკიდებულია ლარის კურსზე. შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების რისკი - ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ჯარიმა ვადაგადაცილებისთვის და ასევე ხარისხის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ხდება 5%-ის დაკავება შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან.

რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

5. სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის შრომითი ხელშეკრულება:

კომპანიის თითოეულ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კომპანიის შინაგანაწესით და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. ხელშეკრულებაში განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

კომპანიის შინაგანაწესი:

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანი არის მუშაკთა უფლებების განმარტება, კომპანიის პირობების განმარტება და მისი შიდა სტრუქტურა.

გამჭვირვალობა:

ყველა საკითხი არის ღიად განხილული ყველა თანამშრომელთან. ნებისმიერ პრობლემის მოგვარებაში ერთვება დირექტორი და შესაბამისი წარმომადგენელი ადგილზე. ყველა ინფორმაცია არის ღიად განცხადებული, როგორც არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რისკები, გეგმები.

დაზღვევა:

კომპანია შესაძლებლობას აძლევს ყველა თანამშრომელს ისარგებლოს კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით, რაც სურვილის შემთხვევაში ასევე ითვალისწინებს ოჯახის წევრთა ჩართვას სადაზღვევო

სისტემაში. კომპანიის იღებს პასუხისმგებლობას და თავისი კეთილი ნებით ყველა თანამშრომელს უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის და/ან საწარმოო შემთხვევის დაზღვევით.

ანაზღაურება ორსულობის დროს ან ავად ყოფნის დროს:

კომპანიის ყველა თანამშრომელს ავადმყოფობის პერიოდში სრულად ეძლევა თანამდებობრივი სარგო, ასევე დეკრეტულ შვებულების მთელი პერიოდის მანძილზე სრულად უნარჩუნდება ხელფასი.

თანამშრომლების მოტივაცია და კომპენსაცია:

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით პერსონალი სისტემატიურად იღებს პრემიას, სახელფასო დანამატს ან საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის დახმარებას.

კომპანიის თანამშრომლები სისტემატიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში და აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.

დახმარება ორგანიზაციებზე და ასევე მოსახლეობაზე:

კომპანია, როგორც ფინანსურს ისე მატერიალურ დახმარებას უწევს, ადგილობრივ მოსახლეობას მშენებლობის პერიოდის განმავლობაში რათა გაუმჯობესოს როგორც ადგილობრივი ინფრასტრუქტურა ასევე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობა.

6. შვილობილი კომპანიის მიმოხილვა

შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“

შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“ დაარსდა 2019 წლის 22 მაისს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ჩოხატაური, სოფ. ქვემო ერკეთი.

შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“-ს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია შპს „New Road“, ს/კ 441993112.

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, დავით ჟღენტო
პ/ნ: 01023009955.

შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ასფალტო ბეტონის წარმოება.

შპს „ნიუ როუდ ჯგუფი“ ფლობს ასფალტო ბეტონის დამამზადებელ ქარხანას იმერეთში, თერჯოლის რაიონი, თერჯოლა მმკ 69 მიმდებარე ტერიტორია.

BENNINGHOVEN ECO 3000 ტიპის ასფალტშემრევი მოწყობილობის ტექნოლოგიური მართვა ხორციელდება ოპერატორის მიერ. ოპერატორის სამუშაო ადგილი მოთავსებულია სპეციალურ კაბინაში, რომელიც აღჭურვილია მართვის დისტანციური პულტით.



შპს „ნიუ ჯეო როუდი“

შპს „ნიუ ჯეო როუდი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. შპს „ნიუ ჯეო როუდი“ დაფუძნდა 2022 წლის 01 ივნისს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქუჩა, N35, სართული 1, კომერციული ფართი N3.

შპს „ნიუ ჯეო როუდი“-ს დამფუძნებლები არიან: შპს New Road (ს/ნ 441993112), 50% წილი და შპს ჯეოინვესტი (ს/ნ 401968466), 50% წილი.

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, გიორგი კუხალაშვილი (პ/ნ 01005033371).

შპს „ნიუ ჯეო როუდი“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ასფალტო ბეტონის წარმოება.

შპს „ნიუ ჯეო როუდი“ ფლობს ასფალტო ბეტონის დამამზადებელ ქარხანას მარნეულის, სოფელ ყიზილაჯლო.

Marini ტიპის ასფალტშემრევი მოწყობილობის ტექნოლოგიური მართვა ხორციელდება ოპერატორის მიერ. ოპერატორის სამუშაო ადგილი მოთავსებულია სპეციალურ კაბინაში, რომელიც აღჭურვილია მართვის დისტანციური პულტით



შპს „მისაქციელი რივერსაიდ“

შპს „მისაქციელი რივერსაიდ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. შპს „მისაქციელი რივერსაიდ“ დაფუძნდა 2022 წლის 29 დეკემბერს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22166229, 05/01/2023 00:18:21). იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქ., N35, სართული 1, კომერციული ფართი N3.

შპს „მისაქციელი რივერსაიდ“-ს დამფუძნებლები არიან: შპს New Road, წილია 70%, კობა ჩეკურაშვილის (პ/ნ 01017009816), 10% წილი და პაატა სირაძე (პ/ნ 61001014683), 20% წილი.

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, სოფიკო ცხიძე, (პ/ნ 46001003286).

კომპანიამ 2023 წლის 18 იანვარს 4 მილიონ ლარად შეიძინა უძრავი ქონება: მცხეთა, სოფელ მისაქციელში მდებარე 15 561 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 72.03.19.264.

ამ ეტაპზე კომპანია აქტიურ ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებს, მომავალ საქმიანობად იგეგმება, უკვე შეძენილი მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელ ფართებად დაყოფა და შემდგომი რეალიზაცია. ამ ეტაპზე სხვა საქმიანობები არ იგეგმება.


7. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფს 2023 და 2022 წლებში შემოსავალი მიღებული აქვს, როგორც სამშენებლო კონტრაქტებიდან, ასევე სხვა მომსახურებიდან. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით კომპანიის 2023 წლის შემოსავალი შეადგენს 182,169,301 ლარს, რომლის 82% გზების მშენებლობიდანაა მიღებული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი ორიენტირებულია საგზაო სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე.

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები გზების მშენებლობიდან	149,001,456	117,838,688	66,521,831	53,549,257
ამონაგები მასალების რეალიზაციიდან	25,613,127	33,370,116	3,508,275	8,762,406
ამონაგები ტექნიკით ღირებულებიდან	4,656,126	2,563,589	838,879	1,013,963
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	2,898,592	1,040,559	127,385	20,916
სულ	182,169,301	154,812,952	70,996,370	63,346,542

ჯგუფის შემოსავლების ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობაზე. ზოგადად რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია, რაც ადგილობრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას ზრდის და მოსახლეობისთვის ღირსეული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. საავტომობილო გზების დეპარტამენტთან თანამშრომლობით ძალიან ბევრი წარმატებული პროექტი სრულდება ჯგუფის მიერ. პროექტების ძირითადი სამუშაოები მთლიანად შესრულდა 2023 წელს.

ჯგუფი ვარაუდობს რომ მისი საქმიანობა 2024-2025 წლებში გაგრძელდება სტაბილურად. ჯგუფის შემოსავლების დინამიკა 2020-2023წწ.-ში მოცემულია დიაგრამაში:



ჯგუფის 2023 წლის ფინანსური მდგარდობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფიციენტი =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანივალდებულებები}}$	=	$\frac{52,563,087}{40,476,768}$	= 1.3
სწრაფი ლიკვიდურობა =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანივალდებულებები}}$	=	$\frac{51,073,835}{40,476,768}$	= 1.26
მოგება საკუთარ კაპიტალზე =	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$	=	$\frac{14,702,145}{23,396,762}$	= 0.63

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

8. კომპანიის სამომავლო გეგმები და 2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

გზათმშენებლობის ინდუსტრია, სამშენებლო ბაზრის მოცულობა და ასევე ამ ბაზარზე მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობა საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება, შესაბამისად მყარი პოზიციების დამკვირდებისათვის კომპანიას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს:

- მომსახურების გაყიდვების გაზრდა;
- მომსახურების კონკურენტული ფასის ჩამოყალიბება;
- პროექტების უმოკლეს დროში განხორციელება;
- ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;
- ახალი ტექნოლოგიების შესწავლა;
- კადრების გადამზადება სხვადასხვა სფეროში;
- მარაგების კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება;

კომპანიის მთავარი ამოცანაა, პროექტების რაოდენობის ზრდის საშუალებით, გაზარდოს საქმიანობის მასშტაბები. ამავდროულად, შეინარჩუნოს მომსახურების მაღალი ხარისხი, მიწოდების ვადების დაცვითა და რესურსების ეფექტიანი მოხმარებით.

კომპანიამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და 2023 წლის 24.07.2023 წელს 80 000 000 ლარის ღირებულების კონტრაქტი ფარგლებში დაიწყო საგზაო სამუშაოები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში საერთაშორისო და შეიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე. ასევე, 2023 წლის 01 ნოემბერს 96 309 126,29 ლარის წინადადებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2024 წლიდან დაიწეს მუშაობას ძრულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელელთის გზის, ძირულა-მოლითის მონაკვეთი კმ00+620-კმ50+244 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

შესასრულებელი პროექტების დროის ოპტიმიზაციის მიზნით კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში შეიძინა 1 961 584 ლარს ღირებულების 7 ერთეული მძიმე ტენიკა.

ახალი გზის მშენებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და ასევე ხელს შეუწყობს საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნების კონკურენტუნარიანობას.

კომპანია ითვალისწინებს სამშენებლო ბაზარს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს და ამ მიმართულებით მენეჯმენტი ყოველწლიურად ანახლებს და აუმჯობესებს სამშენებლო ტექნიკას.

კომპანია დაინტერესებულია სამომავლო ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომლის განხორციელება იგეგმება სახელმწიფო შესყიდვების და/ან ტენდერების მეშვეობით. შესაბამისად, ყოველთვის იღებს მონაწილებას კონფერენციებზე, სრული ინფორმაციის გასაცნობად რათა ორგანიზაციამ გეგმები და მიზნები განავითაროს ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

9. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე

ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხომიძე

შპს „New Road“ მმართველობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2024 წლიდან დაიწებს მუშაობას ძრულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელელთის გზის, ძირულა-მოლითის მონაკვეთი კმ00+620-კმ50+244 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

შესასრულებელი პროექტების დროის ოპტიმიზაციის მიზნით კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში შეიძინა 1 961 584 ლარს ღირებულების 7 ერთეული მძიმე ტექნიკა.

ახალი გზის მშენებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და ასევე ხელს შეუწყობს საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნების კონკურენტუნარიანობას.


კომპანია ითვალისწინებს სამშენებლო ბაზარს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს და ამ მიმართულებით მენეჯმენტი ყოველწლიურად ანახლებს და აუმჯობესებს სამშენებლო ტექნიკას.

კომპანია დაინტერესებულია სამომავლო ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომლის განხორციელება იგეგმება სახელმწიფო შესყიდვების და/ან ტენდერების მეშვეობით. შესაბამისად, ყოველთვის იღებს მონაწილებას კონფერენციებზე, სრული ინფორმაციის გასაცნობად რათა ორგანიზაციამ გეგმები და მიზნები განავითაროს ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

9. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2024 წლის 31 მაისს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კირვალიძე



ფინანსური დირექტორი
სოფიკო ცხომე

